

ქიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
ზაზა ჯოხაძის მიერ გაწეული მუშაობის
ანგარიში

წარმოგიდგინებ ანგარიშს გასული 2014 წლის 1 აგვისტოდან დღემდე.

ვარ საკრებულოს და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, როგორც საკრებულოს წევრი აქტიურ მონაწილეობას ვიღებ საკრებულოს სხდომებში სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისას. ასევე ვარ ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრი, სადაც შემოსული საკითხების განხილვაში აქტიურად ვარ ჩართული.

აღნიშნულ პერიოდში მოხდა შეხვედრები თითქმის ყველა თემის მოსახლეობასთან, სადაც არა ერთი პრობლემა გამოიკვეთა, პრობლემურ საკითხებად რჩება საგზაო ინფრასტრუქტურა. ეს ეხება როგორც ცენტრალურ ასევე საუბნო გზების მშენებლობას (ასფალტო ბეტონი, მობეტონება და მოხრეშვა) ასევე პრობლემატურია სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (ქსელი, სათავენაგებობა, წყალშემკრები ბასეინები და სატუმბო სადგურები). მოსახლეობა გზების მოწესრიგებასთან ერთად ხაზს უსვავს ხიდების, ხიდბოგირების და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის საჭიროებას. აღნიშნული პრობლემები ნაწილობრივ მოგვარებულია, გარემონტდა სასოფლო და საუბნო გზები. მოსახლეობა მოითხოვს ასევე საბავშვო ბაღების რეაბილიტაციას რაც ნაწილობრივ მოგვარებულია, ხოლო რაც შეეხება ახლის მშენებლობას პრობლემა წამოწეულია და მომავალი წლისთვის სავარაუდოდ მოგვარდება.

სოფელ მერევეში კეთდება 600 მ²-იანი გზის მობეტონების პროექტი, უხლოეს მომავალში გამოცხადდება ტენდერი და სავარაუდოდ მომავალი წლისთვის დასრულებული იქნება აღდგენითი სამუშაოები. აღნიშნულ პროექტს უშუალოდ ვადევნებ თვალყურს.

ასევე პრობლემურ საკითხად რჩება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მდგომარეობა, ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში ვცდილობ შემდეგისდაგვარად დავეხმარო მათ.

ჩემი მუშაობის მანძილზე დაგროვილი გამოცდილებით, უფლებამოსილების ფარგლებში, შევეცდები აქტიურად ვიყო ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში.

საკრებულოს წევრი



/ზაზა ჯოხაძე/